პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

4 ოქტომბერი ოთხშაბათი, 1961 წ.

№ 156 (1792)

გამოცემის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საერთაშორისო შეხვედრაზე

მოსკოვი. (ტელეფონით). აქ ორ დღეს გრძელდებოდა უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით და ხუთი საკავშირო რეკორდით. ლ. ბარბიერმა 200 მეტრზე ზურგზე ცურვაში დისტანციის გავლას 2.13,4 წ. მოანდომა, ხოლო ლ. კოლესნიკოვმა ამავე მანძილზე ბრასის სტილით ცურვაში აჩვენა 2.30,1. ვ. კონოპლიოვმა შეჯიბრების პირველ დღეს თავისუფალი სტილით 100 მეტრი დაფარა 54,4. ხოლო მეორე დღეს გამოდიოდა რა ესტაფეტაში ამავე სტილით ამავე დისტანციაზე, აჩვენა 54,1 წამი. საბჭოთა ნაკრებმა ესტაფეტა (4×100) ფინიშზე მიიტანა სტარტიდან 3.42,3 წუთის გასვლის შემდეგ.

## ტურნირი დამთავრდა

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). 2 ოქტომბერს აქ დამთავრდა წყალბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება. ამ დღეს ლიდერებმა მოიგეს თავიანთი შეხვედრები, რის შემდეგ სატურნირო ცხრილში ადგილები ასე განაწილდა: მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირების ნაკრები, „ტრუდი“ (მოსკოვის ოლქი).

## ხუთი წრის შემდეგ

ტაშკენტი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს საკავშირო პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში მჩატე, მსუბუქი, საშუალო და მძიმე წონის სპორტსმენთა შორის.

მჩატე წონაში დაწინაურდა უკრაინელი ტროსტინსკი, რომელსაც ერთი საჯარიმო ქულა აქვს. წარმატებით გამოდის საქართველოს წარმომადგენელი ზ. ნუცუბიძე, რომელსაც სამი წმინდა მოგება და 2 ფრე აქვს — 4 საჯარიმო ქულა. ამდენივე საჯარიმო ქულა აქვს ჩვენი გუნდის მეორე წევრს ო. ეგაძეს. მსუბუქ წონაში ხუთი წრის შემდეგ ლიდერობს უკრაინელი ქიტინიოვი, რომელმაც დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გამარნიკი და ვარდანიანი. საქართველოს გუნდის წევრმა დ. მინასიანმა 3 წმინდა გამარჯვება მოიპოვა და 3 საჯარიმო ქულა აქვს. საშუალო წონაში წინ არიან მოსკოველები კიროვი და ვანინი, მძიმეში ბოგდანი და მოსკოველი შმაკოვი.

## ფრე სპორტის სასახლეში

გუშინ სპორტის სასახლეში შედგა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი კალათბურთში პრაღის „სლავიასა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 56:56.

შეხვედრის დაწვრილებითი ანგარიში იხილეთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

## ბლიცის ტურნირზე

გუშინ ბლიცის ხაჭადრაკო ტურნირის უკანასკნელ ტურში პეტროსიანმა მოუგო გლიგორიჩს, კერესმა — დონერს, გელერმა — პახმანს. ტალ-ნაიდორფისა და ივკოვ-ფიშერის პარტიები გადაიდო ტალისა და ფიშერის უპირატესობით.



გუშინ თბილისის სპორტის მოყვარულებმა იხილეს ჩვენი სამშობლოს საუკეთესო მძლეოსნების გამოსვლები. ვალერი ბრუმელმა გადალახა 222 სმ სიმაღლე. დამყარებულ იქნა საკავშირო რეკორდი ბადროს ტყორცნაში...

## სტარტი აიღეს მძლეოსნებმა

### მიუწვდომელი

შეჯიბრების პირველ დღეს მრავალრიცხოვანი მაყურებლის ყურადღების ცენტრში იყო ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომა. ჩემპიონის ოქროს მედლისათვის ბრძოლის სურვილი გამოთქვა ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესმა. მათ შორის იყვნენ მსოფლიო რეკორდსმენი, მოსკოველი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბრუმელი, რომის ოლიმპიადის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. შავლაყაძე. არაერთ შეხვედრებში გამარჯვებულნი ი. კაშკაროვი, ვ. ბოლშოვი, ვ. ხოროშილოვი და მრავალი, შედარებით ახალგაზრდობა, რომლებმაც უკანასკნელ სეზონში სერიოზული განაცხადი გააკეთეს ამ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

მაყურებელი განსაკუთრებით საინტერესო ბრძოლას მოელოდა ძველ კონკურენტებს — ვ. ბრუმელსა, ი. კაშკაროვსა, ვ. ბოლშოვსა და რ. შავლაყაძეს შორის. ელოდნენ რომის ამბების განმეორებას, როცა თბილისელმა სპორტსმენმა ყველა პროგნოზები დაამსხვრია და უკან ჩამოიტოვა საქვეყნოდ აღიარებულნი.

ამჯერად მოლოდინი არ გამართლდა უკვე წინასწარ — საკვალიფიკაციო შეჯიბრებიდან გამოაკლდა რ. შავლაყაძე ოქროს მედლისათვის მებრძოლთა რიგებს, როცა თანამემამულეებთან — ა. ვიბლიანთან და თ. მდივანთან ერთად დაძლია 195 სმ, ხოლო შემდეგ სიმაღლეზე — 2 მეტრზე „გააწბილა“ გულშემატკივრები — ვერ გადალახა იგი.

რ. შავლაყაძემ შეჯიბრების მრავალ სხვა მონაწილეთა მსგავსად მაყურებლებში გადაინაცვლა, მაგრამ სექტორს მაინც არ მოცილებია, რადგან მისმა აღზრდილმა თ. მდივანმა დილით დაძლია 2 მეტრი და სხვა 10 სპორტსმენთან ერთად მოიპოვა პირველობისათვის ბრძოლის უფლება.

ფინალი საღამოს 195 სმ-ით დაიწყეს მონაწილეებმა. იგი წარმატებით დაძლია მდივანმა და... 2 მეტრზე მსაჯებმა აღარ გამოიძახეს. მწვრთნელის—რ. შავლაყაძის რჩევით ახალგაზრდა სპორტსმენმა ეს სიმაღლე გამოტოვა, ხოლო მომდევნო სიმაღლე — 203 სმ დაძლია მესამე ცდით და საკავშირო ჩემპიონატში, სადაც 50 ოსტატი იბრძოდა, მერვე ადგილი გაინაღდა. მით უფრო სასიხარულოა თ. მდივნის ეს წარმატება, რომ მან მარტო მიმდინარე სეზონში 23 სანტიმეტრით გააუმჯობესა საკუთარი მაჩვენებლები და მომავლის დიდ იმედებს იძლევა.

ოთხმა სპორტსმენმა დაძლია 206 სმ. ბრუმელმა პირველი, ვ. ბოლშოვმა და ი. ზნედიშმა (ლატვია) მეორე, ხოლო კაშკაროვმა მესამე ცდით. ეს იყო და ეს, რის გაკეთებაც შეძლეს მსოფლიო რეკორდსმენის მოწინააღმდეგეებმა. ამ დროისათვის ოქროს მედლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო ბრუმელის სასარგებლოდ. მეორეზე იყო ბოლშოვი (203 სმ-ს სიმაღლის გამოტოვების გამო), მესამეზე — ზნედიში, მაგრამ ბრუმელს კვლავ სურდა ბრძოლა მსოფლიო რეკორდთან. მან ზედიზედ პირველი ცდით დაძლია 213; 217 სმ, მეორე ცდით 222 სმ და... თამასა 1 სმ-ით აცდა მსოფლიო რეკორდს — 225 სანტიმეტრს, მაგრამ... სამივე ცდა მარცხით დამთავრდა. რეკორდი „გადარჩა“.

### მაინც არის რეკორდი

მაშინ, როცა მაყურებელი რეკორდს სიმაღლეზე სახტომ სექტორიდან ელოდა, იგი ყველასათვის მოულოდნელად მოვიდა სულ სხვა მხრიდან. მართალია, ახალი რეკორდი მსოფლიო რეკორდების ცხრილს ვერ წვდება, მაგრამ საკავშირო რეკორდების ცხრილიდან „განდევნა“ ლენინგრადელ ვ. ტრუსენიევის შედეგი. ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრების უკვე წინასწარ შეხვედრებში გახდა ცხადი, რომ საქართველოს სპორტსმენთაგან ჯერ კიდევ არავის შესწევს ძალა იბრძოლოს საპრიზო ადგილისათვის, ამიტომაც მათ მთავარ ამოცანას შეადგენდა ჩათვლა მიეცათ გუნდისათვის (I თანრიგი) და ესეც მხოლოდ ერთმა — გ. გუდაშვილმა შეასრულა დამაკმაყოფილებლად, როცა ბადრო გაგზავნა 49 მ 70 სმ-ზე და ფინალში გასულთა შორის უკანასკნელი მე-12 ადგილი დაიკავა.

8 სანტიმეტრი დააკლდა პირველი თანრიგის შედეგამდე (47 მ.) გ. ჩადუნელს (რომ არაფერი ვთქვათ სხვა მონაწილეებზე) და ნული „მოუტანა“ კოლექტივს.. გუდაშვილს

(გაგრძელება მე-3 გვ.).

## „ზენიტი“ — მეოთხედფინალში

გუშინ, ლენინგრადში საბჭოთა კავშირის თასზე მერვედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „ზენიტისა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი მოიგეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 3:0.

# მსაჯის დასახმარებლად

მსაჯმა უნდა იცოდეს ზოგიერთი კანონზომიერება, რომლებიც არსებობს შეხვედრების ტურებად დალაგების ცხრილში.

თუ ერთმანეთს ხვდებიან ნომრები (ორი ლუწი ან ორი კენტი), მაშინ დიდი ნომერი თამაშობს თეთრებით. თუ ერთმანეთს ხვდება სხვადასხვა ნომერი (ლუწი კენტს), მაშინ თეთრებით თამაშობს უმცროსი ნომერი. ეს წესი არ ვრცელდება ცხრილის ბოლო ლუწ ნომერზე. ეს ნომერი შავი ფერით ხვდება ყველა ნომერს, რომლებიც განლაგებული არიან ცხრილის ზედა ნახევარში, ხოლო თეთრი ფერით — ცხრილის ქვემო ნახევარში მდებარე ყველა ნომერს.

როცა იცით მონაწილეთა ნომრები, ადვილია გამოიცნოთ, თუ რომელ ტურში ხვდებიან ისინი ერთმანეთს. ამისათვის ერთმანეთს უნდა მივუმატოთ ორი მონაწილის ნომერი და თუ ჯამი ნაკლები ან ტოლი იქნება ცხრილის უკანასკნელ ლუწ ნომერზე, მაშინ გამოვაკლებთ ერთს; თუ ჯამი მეტი იქნა, მას გამოვაკლებთ ცხრილის უკანასკნელ ლუწ ნომერს. სხვაობა გვიჩვენებს ტურს, რომელშიც შეხვდებიან მონაწილენი. მაგალითად, რომელ ტურში შეხვდებიან ერთმანეთს მონაწილენი, რომლებსაც აქვთ №5 და №1, ან მონაწილენი №5 და №10, თუ ტურნირში სულ 12 მოთამაშეა. 1) 5+1=6; ვინაიდან ჯამი 12-ზე ნაკლებია, გამოვაკლებთ ერთს: მაშასადამე, №5 და №1 შეხვდებიან V ტურში. 2) 5+10=15. რადგან ჯამი 12-ზე მეტია — გამოვაკლებთ 12-ს. მაშასადამე, № 5 და № 10 შეხვდებიან III ტურში.

ეს წესი არ გამოდგება მხოლოდ ცხრილის ბოლო ლუწი ნომრისათვის, იმისათვის, რომ გავიგოთ რომელ ტურში შეხვდება იგი ნებისმიერ ნომერს, საჭიროა მოწინააღმდეგის პატარა ნომერი გავადიდოთ ორჯერ და თუ ნამრავლი ბოლო ნომერზე ნაკლები იქნა, გამოვაკლოთ ერთი, თუკი მეტი იქნა, მაშინ უნდა გამოვაკლოთ ბოლო ნომერი. მაგალითად, რომელ ტურში შეხვდებიან ერთმანეთს მონაწილენი, რომლებსაც აქვთ №5 და №10 მონაწილეს №12-ს. 1) 5X2 =10; რაკი ნამრავლი 12-ზე ნაკლებია, გამოვაკლებთ ერთს; მაშასადამე, №5 შეხვდება №12-ს IX ტურში; 2) 10X2=20; რაკი ნამრავლი 12-ზე მეტია, გამოვაკლებთ 12-ს. მაშასადამე, № 10 შეხვდება № 12-ს VIII ტურში.

# ა. ალიოხინი და მ. ბოტვინიკი ჭადრაკის შესახებ

„ჭადრაკის თამაშის მიზანს ვხედავ მეცნიერულ და მხატვრულ მიღწევებში, რომლებიც მას აყენებენ სხვა ხელოვნებათა გვერდით".

ა. ალიოხინი

„ჩვენთვის ჭადრაკი — თვით შემოქმედებითი ცხოვრებაა. ამიტომაც ვაღწევთ კარგ შედეგებს".

მ. ბოტვინიკი.

## სიცილიური დაცვა

მ. თხელიძე — მ. ბოტვინიკი

მ. ბოტვინიკის ერთდროული თამაშის სეანსიდან საათებით, თბილისი.

1. e4 c5 2. d4 cd 3. c3 (თეთრებს სურთ ინიციატივის ხელში ჩაგდება 3. ...dc 4. მ:c3-ის შემდეგ) 3. ... d3 4. კ:d3 მc6 5. მf3 g6 6. 0—0 კg7 7. კc4 d6 8. მa3 a6.

თეთრების ბოლო სვლები მიმართული იყო შავების მეფის ფრთის ფიგურების განვითარების შეფერხებისაკენ. მაგალითად, 8.. მf6 მოჰყვებოდა 9. e5 de 10. ლ:d8+მ:d8 11. მb5 ან 10. ... მფ:d8 11. მg5 მაგრამ შავები აქარწყლებენ ამ მუქარებს.

9. ეe1 მf6 10. e5 de 11. ლ:d8+ მ:d8 12. მ:e5 კe6 (უფრო წყნარი იყო 12. ... 0—0 13. კg5 და ა. შ.) 13. კe3 ეc8 14. ეad1 მe4 15. კb6! მd6 (თუ 15. ... მe5 16. კd8 ე:d8 17. ე:d8+მფ:d8 18. კ:e6 fe 19. ე:e4 უკეთესი თამაშით) 16. კb3 კ:b3 17. ab მe6 18. მac4 მ:c4 19. მ:c4 ეc6 20. ეd3 f5. (იხ. დიაგრამა).

თეთრების პოზიცია უკეთესია. ისინი ამზადებენ შეჭრას მე-7 ჰორიზონტალზე. 21. f3 კf6 22. g3 h5 23. კf2 მფf7 24. მa5 ეc7 25. კb6 ეc8 26. ეd7 h4 27. მc4 ეc6 28. ე:b7 hg 29. hg f4?



შავებს სურთ გამოიყენონ თეთრების ცაიტნოტი და ჩქარობენ თამაშის გახსნით. 30. gt ეh3 31. ეe3 მ:f4 32. ეb:e7+კ:e7 33. მe5++მფg8 34. მ:c6 კh4 35. კc7 (თეთრები იგერიებენ ყველა მუქარას: თუ 35....მd5, მაშინ 36. მფg2, ხოლო 35....ეg3+36. მფf1) 35...კg5 36. კ:f4 37. ეd3 g5 38. მe7+მფf7 39. მd5 კe5 40. ეe3 კd6 41. b4 a5? 42. ba შავები დანებდნენ.

შენიშვნები მ. თხელიძისა

## სხვადასხვა

— მამა, რას მაჩუქებ დაბადების დღეს? — ჰკითხა ბავშვმა თავის ჭადრაკის მოყვარულ მშობელს.

— მხედარს!

* * *

— როგორ წააგეთ პარტია ასე მალე? ალბათ ტაქტიკური შეცდომა დაუშვით?

— არა. პირიქით — სტრატეგიული. მოწინააღმდეგედ ჩემი უფროსი მყავდა.

* * *

გროსმაისტერი რუბინშტეინი წელიწადში 300 დღეს მეცადინეობდა ჭადრაკში (დღეში ექვსი საათი), 60 დღე მონაწილეობდა შეჯიბრებებში, დარჩენილ 5 დღეს... ისვენებდა.

* * *

ბეთჰოვენმა მრავალი ნაშრომი დაწერა სმენის დაკარგვის შემდეგ. ცნობილმა ინგლისელმა საჭადრაკო კომპოზიტორმა მეკენზიმ თავისი შესანიშნავი ამოცანების უმრავლესობა შეადგინა დაბრმავების შემდეგ.

# როგორ შევადგინოთ ეტიუდი

საჭადრაკო ეტიუდი—ესაა კომპოზიტორის მიერ მოფიქრებული პოზიცია, რომელშიც წარმატება შეიძლება მოპოვებულ იქნას მხოლოდ ერთი გზით, ამასთან იგი უნდა იყოს ძნელად მოსანახი, ეფექტური, პარადოქსალური.

როგორ მიმდინარეობს ეტიუდის შექმნის შემოქმედებითი პროცესი?

ანალიტიკურ ეტიუდზე მუშაობის დროს კომპოზიტორი გულდასმით სწავლობს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც იქმნება სხვადასხვა მატერიალურ ძალთა (მაგალითად, კუ და პაიკების, მხედრისა და პაიკების) ბრძოლის დროს. დაწყებით პოზიციიდან, რომელიც მან მოიგონა, გამოიყენებს რა ძირითადად ანალიზის მეთოდს, ეტიუდისტი ეძებს ფინალურ პოზიციას.

მაგრამ ეტიუდზე მუშაობის დროს ხშირად გამოიყენება სხვა მეთოდი. ამ შემთხვევაში ჯერ მოინახება საინტერესო დასკვნითი პოზიცია, რომელიც შეიცავს ეტიუდის იდეას,—მაგალითად, პატს, შამათს, მუდმივ ქიშს, პოზიციურ ყაიმს,—და იგი ხდება შემდგომი გაღრმავების გამოსავალი პუნქტი.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ შემოქმედებითი პროცესი საჭადრაკო კომპოზიციაში, ვცადოთ ეტიუდის შედგენა. ამოვირჩიოთ ასეთი საპატო ფინალი: თეთრები. მფa8, შავები: კc8, მc6; შავ მეფეს დაფაზე არ ვსვამთ, რადგან დასკვნით პოზიციაში იგი არ მონაწილეობს და ჯერჯერობით არ არის საჭირო.

ამრიგად, თეთრებს პატი აქვთ. როგორ გამოვიდა იგი? აშკარაა, რომ კუ და მხედარი თავისით არ დამდგარან დაკავებულ ადგილებზე. მაშასადამე, შავების უკანასკნელი სვლა დაკავშირებულია აღებასთან. გადავაადგილებთ რა კუს a6-ზე, ხოლო c7-ზე დავსვამთ პაიკს, დავრწმუნდებით, რომ c8ლ შემდეგ შავებს უნდა ეთამაშათ კ:c8 პატის შექმნით.

როგორ შეიქმნა ახალი პოზიცია? გადავაადგილოთ მხედარი b8 და d7-ზე დავსვათ შავი პაიკი, რომ მას წავართვათ ეს უჯრა, ადვილი დასარწმუნებელია, რომ cbლ მუქარისაგან შავი მხედარი წავა c6-ზე — ასე შეიქმნა ჩვენთვის აუცილებელი პოზიცია. რა გააკეთეს თეთრებმა მანამდე? თუ მეფეს დავსვამთ b7-ზე დავინახავთ, რომ მათთვის მფa8 არის დაცვის ერთადერთი გზა; მფ:b8 d5 ან მფa7 მc6+ შემდეგ შავები ადვილად იგებენ.

როგორ განვავითაროთ „წინა" თამაში? გადავაადგილებთ თეთრ პაიკს c6-ზე შავ კუს e4-ზე და დაფაზე დავუმატებთ თეთრების კუს (a4) და პაიკს (h6), აგრეთვე შავების მეფეს (h7) და პაიკს (d4).

ეტიუდი მზადაა.



თეთრები იწყებენ და აღწევენ ყაიმს.

ამოხსნა: 1. კc2! (თუ 1. მფ:b8, მაშინ 1... dc 2. მფc7 d3 3. მფd6 კf3 4. მფc5 d2 5. კc2+მფ:h6 და შავები იგებენ) 1.... d3! (სუსტია 1.... მ:c6 2. კ:e4+მფ:h6 3. მფc7 მe5 4. მფd6 მg4 5. მფd5 გამო) 2. კ:d3 კ:d3 3. c7 კa6+ 4. მფa8 მc6 5. c8ლ კ:c8—პატი.

ვ. კოროლკოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

# ახალი ესპანურ პარტიაში

კარგადაა ცნობილი ესპანურ პარტიაში 1. e4 e4 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. ლe2 b5 6. კb3 ეს ვარიანტი. აქ თეორია გვირჩევს 6... კc5 და 6..., კe7. მაგრამ ბულგარელი ოსტატი მილევი გვთავაზობს 6..., მa5 თამაშის გათანაბრებით.

მილევის გეგმის ძირითადი აზრია გაიცვალოს ყოველთვის საშიში „ესპანური" კუ b3. ადრე ტაიმანოვი და ფურმანი მხედრით სვლას აკეთებდნენ 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 შემდეგ 4.... b5 5. კb3 მa5. მაგრამ ლe2 და მf6 სვლების ჩართვით შავებმა მიიღეს e4 პაიკზე დაცემის საშუალება.

როგორ შეიძლება გაგრძელდეს თამაში? განვიხილოთ ზოგი ვარიანტი.

მდგომარეობა შავების მე-6 სვლის შემდეგ.



7. კ:f7+ მფ:f7 8. მ:e5+ მფe8! და შავები იცავენ თავს. კარგი თამაში აქვთ შავებს 7. მ:e5 მ:b3 8. ab ლe7 9. d4 d6 10. მf3 ლ:e4 11. ლ:e4 მ:e4 12. 0—0 კb7 13. ეe1 კe7 შემდეგ.

მილევის აზრით უკეთესია 7. მc3 მ:b3 (და არა 7... d6? 8. d4 მd7 9. 0—0 მ:b3 10ab კb7 11. ეd1 f6 12. მh4 უპირატესობით) 8. ab კb7 9. d4 კb4 10. კg5 d6 11. ეd1 h6 12. კh4 g5 თანაბარი შანსებით.

არც 7. მc3 მ:b3 8. ab კb7 9. d3 d6 10. d4 მd7 შემდეგ შავები არ დგანან ცუდად.

მილევის ახალი გაგრძელება არ უნდა იყოს ურიგო. საჭიროა მხოლოდ შევამოწმოთ იგი საკუთარი ანალიზით, ღრმად ჩავწვდეთ მასგან გამომდინარე პოზიციებს (შეიძლება გააუმჯობესოთ კიდეც ზოგიერთი ვარიანტი) და შემდეგ თამამად გამოვიყენოთ პრაქტიკაში.

თ. გიორგაძე

## ამოცანები

რ. თავარიანი (ბოგდანოვკა)



შამათი 4 სვლაში.

ლ. გომორიშვილი (თბილისი)



შამათი 4 სვლაში.

ლელო

მე-2 გვ, № 156 (1792)

# სტარტში აიღეს მძლეოსნებმა



(დასასრული)

კვლავ დარჩა უკეთესი მაჩვენებლის მოპოვების უფლება, მაგრამ ფინალში გაუმჯობესების ნაცვლად მან 84 სმ-ით გააუარესა შედეგი. სამაგიეროდ „დაუნდობელი ბრძოლა" გაიმართა მოსკოველ ქ. ბუხანცევს, ლენინგრადელ ვ. ტრუსენევს, ა. ბალტუშნიკასსა და ვ. იარასს (ორივე ლიტვა) შორის. ბალტუშნიკასმა საკვალიფიკაციო შეჯიბრების შედეგი — 54.49 სმ უკვე ფინალის წინასწარ შეხვედრებში გააუმჯობესა 56.16 მეტრამდე, და როგორც იტყვიან, „გათამამდა" და ფინალში 6 უძლიერესთან შეჯიბრების დროს ერთ-ერთ ცდაზე აჩვენა შედეგი, რომლის მსგავსი საბჭოთა სპორტსმენთაგან დღემდე არავის ჰქონია — 57 მ 93 სმ და პირველი, ვინც მას ეს გამარჯვება მიულოცა, ძველი რეკორდსმენი ვ. ტრუსენევი იყო, რომელიც იძულებული გახდა მეოთხე ადგილით დაკმაყოფილებულიყო, რადგან ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მისთვის ქ. ბუხანცევმა და ვ. იარასმა არ გაიმეტეს. მათ მოიპოვეს მეორე (56 მ 52 სმ) და მესამე ადგილები — 56 მ 26 სმ.

### საქმეში ჩაერია მეტეოპუნქტი

საკავშირო და მსოფლიო რეკორდი ლენინგრადელმა ტ. შჩელკანოვამ წელს 6 მ 48 სმ-მდე აიყვანა და მას შემდეგაც რამდენჯერმე „გადააბიჯა" მას, მაგრამ ყოველთვის იყო ისეთი ხელშემშლელი პირობები, რაც მისი მაჩვენებლების რეკორდად დამტკიცების უფლებას არ იძლეოდა. ასე მოუვიდა მას ამ დღესაც.

დილის პროგრამაში იგი ყველაზე უკეთ ასრულებდა „სოლოს"— ოსტატის შედეგი სხვას არავის უჩვენებია — 6.24 მ, მაგრამ ფინალში მაინც მოიყარა თავი 12 მონაწილემ. მათ შორის საქართველოს გუნდიდან მხოლოდ რ. იანშინა მოხვდა — 5.71 მ. სამაგიეროდ, საღამოს, უკვე უძლიერესთა წინასწარ შეხვედრებში კიდევ სამმა — ვ. შაპრუნოვამ (ლენინგრადი I) და რსფსრ-ს გუნდის წევრებმა ა. სედოვამ და ნ. პროტჩენკომ გადალახეს ოსტატობის ზღვარი და შესაბამისად აჩვენეს 6.12; 6.26 და 6.23 მ.

უკვე ამ შეჯიბრებაზე „დაიპყრო" მაყურებლები შჩელკანოვამ და სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა გულშემატკივრებიდან არა ერთი „გადაიბირა". ზედიზედ გადახტა იგი 6 მ. 45 სმ-ზე, შემდეგ 6 მ. 56 სმ-ზე (!) და ბოლოს 6 მ 52 სმ-ზე. ბოლო ორი შედეგი, როგორც ვხედავთ საგრძნობლად აღემატება მისსავე ოფიციალურ რეკორდს, მაგრამ... მათი წარდგენა დასამტკიცებლად არ შეიძლება, რადგან საქმეში ჩაერია მეტეოპუნქტი, რომელმაც აღნიშნა ზურგქარის სიძლიერე — 3 მეტრი წამში. წესით კი მხოლოდ ორი მეტრია დასაშვები.

მართალია, ტ. შჩელკანოვამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „ვერ გააუმჯობესა" მსოფლიო რეკორდი, მაგრამ ოქროს მედალი ხომ მაინც მას დარჩა. მეორეზეა ვ. შაპრუნოვა — 6.36 მ. მესამეზე — ნ. პროტჩენკო— 6.27 სმ.

აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაზე კვლავ წარუმატებლად გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი — საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატი ლ. იევლევა — მან ჩათვლა ვერ მისცა გუნდს (?) რ. იანშინამ კი ფინალში ორი წარუმატებელი ცდის მერე 3 სმ-ით გააუმჯობესა თავისი საკვალიფიკაციო შეჯიბრების შედეგი.

### ა. შჩერბინა არ ღალატობს ტრადიციას

72 სპორტსმენი შეუდგა რთულ მოგზაურობას — 20 კმ სპორტულ სიარულს. მათ შორის ოთხი საქართველოს გუნდის ინტერესებს იცავდა რომის ოლიმპიადის პრიზიორის ა. შჩერბინას მეთაურობით. საკმაოდ რთული ტრასა იწყებოდა სტადიონზე და დედაქალაქის ქუჩების გავლით ისევ სტადიონზე მთავრდებოდა. ერთად მიდიოდა ჯგუფი კარგახანს და მხოლოდ მეხუთე კილომეტრიდან დაწინაურდა ლიდერთა ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ ტაჯიკეთის გუნდის წევრი გ. პანიჩკინი, მ. ლავროვი (რსფსრ-დან) და ა. შჩერბინა.

6 სპორტსმენი მოიხსნა შეჯიბრების წესის დარღვევისათვის მათ შორის ჩვენი გუნდის წევრი ა. აკიმოვიც, რამდენიმემ ვერ გაუძლო დაძაბულობას და სიარული მიატოვა. აქაც იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი (ი. პროკოშკინი).

ლიდერები რიგრიგობით გადიოდნენ წინ და მხოლოდ უკანასკნელი სამი კილომეტრის მერე დაწინაურდა მ. ლავროვი. სტარტიდან ზუსტად საათნახევრის შემდეგ გამოჩნდა შეჯიბრების ლიდერი. ჩემპიონობა მოიპოვა ლავროვმა 1:31.26.8. მას ზუსტად 22 წამით ჩამორჩა პანიშკინი.

ა. შჩერბინამ, რომელიც მიმდინარე სეზონის დასაწყისში სპორტული ფორმიდან ამოვარდნას უჩიოდა, კვლავ ისახელა თავი, არ უღალატა ტრადიციას და პირად პირველობაზე პირველი საპრიზო ადგილი მოუტანა ჩვენს რესპუბლიკას, მესამემ დაამთავრა დისტანცია — 1:32.39,0 და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

### ვ. კუცის ღირსეული მემკვიდრე

გრძელ მანძილებზე რბენის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენი ახსოვს, რომელთა უმთავრესი მწვერვალები დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: პ. ნურმი-ე. ზატოპეკი-ვ. კუცი. სადღეისოდ მათი სახელები სტაიერული წარსულის კუთვნილებაა, მაგრამ გრძელ მანძილებზე რბენას დღეს ჰყავს კიდევ ერთი შესანიშნავი სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია როგორც ვლადიმერ კუცის ღირსეული მემკვიდრე. ესაა პეტრე ბოლოტნიკოვი.

რომის ოლიმპიურ თამაშებზე პ. ბოლოტნიკოვმა თავისი მსუბუქი, ლამაზი რბენით მოხიბლა მაყურებლები და ისეთ გამოჩენილ სტაიერებთან ბრძოლაში, როგორებიც არიან ზ. კშიშკოვიაკი (პოლონეთი), ჰ. გროდოტცკი (გერმანია), გ. პირი (ინგლისი), შ. იხაროში (უნგრეთი), მ. ჰელბერგი (ახ. ზელანდია) და სხვანი, ბრწყინვალედ განვლო 10.000 მეტრი ახალი ოლიმპიური რეკორდით — 28.32,2.

ზუსტად ერთი წლის წინ, სსრ კავშირის გუნდურ პირველობაზე კიევში პ. ბოლოტნიკოვმა ფენომენალურ ტემპში გაირბინა აღნიშნული მანძილი და დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 28.18,8. ასეთი მაჩვენებლისათვის სპორტსმენი სამუდამოდ შედის სპორტის ისტორიაში და პ. ბოლოტნიკოვის ბრწყინვალე მიღწევებიც სათანადოდ იქნა დაფასებული — იგი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით.

თბილისელი სპორტის მოყვარულები კა[illegible] პ. ბოლოტნიკოვს და [illegible] იყო, მისი რბენისათვის [illegible] არავითარი [illegible] ნაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ის მომენტები, როცა ვ. ბრუმელი ებრძოდა 222 და 226 სმ სიმაღლეს.

10.000 მეტრზე რბენა თბილისის სტადიონზე მსოფლიო რეკორდსმენისათვის წარმოადგენდა ბრძოლას დროსა და საკუთარ გრაფიკთან. დანარჩენი მოწინააღმდეგეები — ეს იყო მხოლოდ მკრთალი ფონი ჩემპიონისათვის. იგი ვერ გრძნობდა მათს სუნთქვას ზურგს უკან, ვერ გრძნობდა მათს თუნდაც შორეულ კონკურენციას და საქმე ჰქონდა მხოლოდდამხოლოდ მანძილთან.

პ. ბოლოტნიკოვმა ოდნავ შენელებული ტემპით დაიწყო რბენა და მხოლოდ რამდენიმე წრის შემდეგ მოუმატა სისწრაფეს. დისტანციის დასასრულს იგი მექანიზმის სიზუსტით გარბოდა წრეებს—72-72,5 წ.

8 კილომეტრის შემდეგ (23.30,5) იგი 100 მეტრით უსწრებდა თავის უახლოეს მეტოქეებს ე. ჟუკოვს, ა. არტინიუკს, ფ. ხუბინს. ხოლო როცა დაიწყო საფინიშო წრე, რეკორდსმენმა მკვეთრი ბიძგით მოუმატა ტემპს და სრულ მარტოობაში გადავიდა უკანასკნელ სწორზე.

საბოლოოდ პ. ბოლოტნიკოვმა (მოსკოვი I) 10.000 მეტრი გაირბინა 29 წუთსა და 24,8 წამში. ზედ ფინიშის ხაზთან უმძაფრესი ბრძოლა გაიმართა ე. ჟუკოვსა და ა. არტინიუკს შორის (ორივე რსფსრ-დან). მცირე უპირატესობით გაიმარჯვა ე. ჟუკოვმა — 29.42,4. მესამე ადგილზეა ა. არტინიუკი — 29.43,4. ამ დისტანციაზე საქართველოს გუნდს მორბენალი არ გამოუყვანია.

**გაზეთ „ლელოს" ბრიგადა.**



**სურათებზე:** ზევით — პ. ბოლოტნიკოვი პირველი მივიდა ფინიშთან, რამაც მას ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა. ქვევით — 100 მეტრზე ვაჟთა ერთ-ერთი ნახევარფინალური გარბენის სტარტზე. მათგან მხოლოდ უძლიერესებმა მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# მოგზაურობა გრძელდება

ამჟამად ინიციატივა ქუთაისის მაუდის ფაბრიკის საქსოვი უბნის საწმენდი განყოფილების ახალგაზრდობამ აიღო, რომლის წამოწყებას მხარი დაუჭირა განყოფილების უფროსმა, ხანდაზმულმა, მაგრამ ჯერ კიდევ ენერგიით სავსე ანა სვანაძემ.

წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა ახალგაზრდობამ, გადაჭარბებით შეასრულა 8 თვის საწარმოო გეგმა და გადაწყვიტა აქტიურად დაესვენა ქალაქისა და მის ახლომახლო მდებარე ღირსშესანიშნავ ადგილებში.

მარშრუტიც შეირჩა: სათაფლიას ნაკრძალი - გუმათი (გუმათჰესი)- სოფელი სორმონი - გელათი. ლაშქრობის პირველ დღეს მოლაშქრეები „სათაფლიას" მთას ეწვიენ და იქვე შეფერდებულ მდელოზე (წყაროსთან ახლოს) შეარჩიეს ბანაკის ადგილი.



ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა, საამქროს ახალგაზრდა ინჟინრის, ნიჭიერი სპორტსმენის (ძალოსანი) პავლე ასპანიძის ხელმძღვანელობით სწრაფად და მოხერხებულად გაშალა კარვები.

გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა მემაუდეთა მხიარული სიმღერები და ცეკვა-თამაში. დილის გამამხნევებელი ვარჯიშის ჩატარებისა და საუზმის შემდეგ, პირველ რიგში მთის თხემზე, წინა ისტორიული ხანის ცხოველთა ჯგუფის „დინოზავრების" ნაკვალევი დავათვალიერეთ.

„დინოზავრების" დათვალიერების შემდეგ გავემართეთ სათაფლიას ტყეში არსებულ მიწისქვეშა, კარსტული წარმოშობის სტალაქტიტოვანი გვირაბის შესასვლელისაკენ, სადაც შემოგვიერთდა მოსკოვიდან და გორიდან გვირაბის დასათვალიერებლად ჩამოსული ამხანაგების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი. შევდივართ გვირაბში.

ისევ დღის სინათლეზე ვართ. ავკრიფეთ კარვები და ნაკრძალისაკენ ავიღეთ გეზი. ქუთაის - ყონეთის გზით გუმათჰესის მუშა-მოსამსახურეთა დაბაში შევდივართ. ღრმა შთაბეჭდილებებით აღვსილი მოკლე ბილიკებით ვეშვებით სადგურისაკენ, საიდანაც ახალი გზით ვბრუნდებით ქ. ქუთაისში.

**შ. ჩიმაკაძე,**

ტურისტული ლაშქრობის ხელმძღვანელი.

* * *

**სურათზე:** სათაფლიას მთის ძირში გაშლილი კარავი.

ფოტო გ. ლოლომაძისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩოგბურთი

## ემერსონმა დაამარცხა ლეუერი

დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ე. წ. „ღია ჩემპიონატი“ ჩოგბურთში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. მძაფრი ბრძოლის შემდეგ ფინალში გავიდნენ ავსტრალიელები როი ემერსონი და უიმბლდონის წლევანდელ შეჯიბრებებში გამარჯვებული როდ ლეუერი (მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი მოყვარულთა შორის), მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელებმა შესარჩევ შეჯიბრებებში მარცხი განიცადეს.

ფინალური მატჩის ფავორიტად მიმომხილველები ლეუერს მიიჩნევდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ემერსონმა შეხვედრა მეტად ძლიერად ჩაატარა და ბოლომდე არ გაუშვა ხელიდან ინიციატივა. მან გაიმარჯვა — 7:5, 6:2, 6:2 და ამით დაამტკიცა, რომ იგი დღეს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელია მსოფლიოში მოყვარულთა შორის.

ქალთა შორის ფინალში გავიდნენ ჰერდი (ამერიკის შეერთებული შტატები) და ჰეიდონი (ინგლისი). მათი ორთაბრძოლა 47 წუთს გაგრძელდა. გაიმარჯვა ჰერდმა — 6:3, 6:4.

## ტურნირი დუბროვნიკში

როგორც პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, დუბროვნიკში დამთავრდა იუგოსლავიის ე. წ. „ღია ჩემპიონატი“ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ჩოგბურთელთა მონაწილეობით. ფინალში ვაჟთა შორის გავიდნენ იუგოსლავიის ჩემპიონი, 22 წლის ბორა იოვანოვიჩი და უნგრეთის უძლიერესი ჩოგბურთელი გუიაში. ეს მატჩი მეტად დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიგო იუგოსლავიის ჩემპიონმა — 8:10, 6:2, 2:6, 6:4, 6:1.

ქალთა შორის ფინალში გავიდნენ ბარდოცი (უნგრეთი) და კაუფმანი (შვეიცარია). ბარდოციმ იოლად გაიმარჯვა 6:2, 6:1. ვაჟთა წყვილების შეჯიბრება მოიგეს იოვანოვიჩმა და პილიჩმა (ორივე იუგოსლავია), ქალთა შეჯიბრება — კატონამ (უნგრეთი)-სერპეზიმ (იუგოსლავია).

## ყველაზე თვალსაჩინო

ლაიპციგში დამთავრდა დიდი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა თვალსაჩინო ჩოგბურთელმა. ვაჟთა შორის ფინალში გავიდნენ ბერლინელები ფერმანი და რაუტენბერგი. [illegible] ფერმანმა — 7:5, 6:2, 6:4. ქალთა შორის რესპუბლიკის ჩემპიონმა იოჰანესმა ფინალში [illegible] — 6:2, 4:6, 10:8. ვაჟთა წყვილებში რაუტენბერგ — ფერმანმა მოუგეს ცარგერ-ცვინკს — 6:4, 6:[illegible]. ქალთა წყვილებში იოჰანესმა და [illegible]ლინდნერმა მოუგეს ვალეი-კრუტცაერს — 6:3, 3:6, 6:2.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო შეჯიბრება ჩოგბურთში, რომელიც კი ოდესმე ჩატარებულა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ფეხბურთის კალეიდოსკოპი

## ვეტერანის ხვედრი

ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ გამოჩენილ ესპანელ მეკარეს ანტონიო რამალეტსს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თამაშობდა ეროვნულ ნაკრებში. რამალეტსმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპეციალისტებზე 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატში. იგი მაშინ 28 წლისა იყო. ამ დროიდან მოყოლებული რამალეტსი უცვლელად თამაშობდა „ბარსელონაში“, ეროვნულ ნაკრებში და ერთ-ერთ უძლიერეს მეკარედ ითვლებოდა მსოფლიოში.

მაგრამ ეს იყო წინათ. ბოლო წლის განმავლობაში „ბარსელონას“ ხელმძღვანელები ათვალწუნებით ეკიდებოდნენ რამალეტსს, რომელიც უკვე 38 წლისა გახდა და ცხადია, ვეღარ თამაშობდა ძველებურად, თუმცა ვისენტესთან ერთად იგი კვლავ მონაწილეობდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის VI გათამაშებაში „ბარსელონამ“ ძლივს მოუგო „რეალსა“ და „ჰამბურგერ შპორტფერაინს“, რის შემდეგ ფინალური მატჩი პორტუგალიის „ბენფიკასთან“ ესპანეთის ფეხბურთის მესვეურებს „იოლ გასეირნებად“ მიაჩნდათ, მაგრამ „ბარსელონამ“ წააგო ეს უმნიშვნელოვანესი მატჩი.

ევროპის ჩემპიონთა თასის დაკარგვა „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ ხანდაზმულ რამალეტსს დააბრალა. თუ შარშანდელ მარცხს გამოჩენილი მწვრთნელი მ. ერერა კი შეეწირა, წელს, ცხადია, არავინ მოებოდიშებოდა მეკარეს, რომელიც ამავე დროს „ბარსელონას“ პატრონის მ. სანსის აზრით, უკვე საჭირო აღარ იყო. ამიტომ იგი გუნდიდან დაითხოვეს.

რა უნდა ექნა ესპანელ გულშემატკივართა ყოფილ „კერპს“, ამჟამად უმუშევარ მეკარეს? ესპანეთში გუნდის წვრთნისათვის საჭიროა სათანადო დიპლომი, რომელიც რამალეტსს არ გააჩნდა. და აი გუშინდელი „ვარსკვლავი“ მოწაფის სკამს მიუჯდა, ხოლო „ბარსელონას“ კარში დადგა „ახალი ზამორა“ — ლეგენდარული მეკარის ვაჟი რიკარდო, რომელიც ზოგიერთი სპეციალისტის აზრით სჯობია არა მარტო რამალეტსს, არამედ თავის სახელოვან მამასაც კი.

როგორც პოლონური გაზეთი „სპორტი“ იუწყება, რამალეტსმა ზაფხულის განმავლობაში დაამთავრა მწვრთნელთა სპეციალური კურსები და ერთ-ერთი ესპანური კლუბის მწვრთნელი გახდა. ეს კლუბი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მისი სახელი კარგად ინფორმირებულმა პოლონურმა გაზეთმაც კი არ იცის.

**მარსელი.** ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი ჩაატაროს საბჭოთა კავშირში, 1962 წელს.

**გენუა.** ცნობილი იტალიელი სპორტსმენი ფრანჩესკო ბორა სპეციალური სასუნთქავი აპარატის გარეშე ჩავიდა წყლის სიღრმეში 25 მეტრზე, რითაც გააუმჯობესა ჯ. მაკელის (ამერიკის შეერთებული შტატები) მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი — 20 მეტრი.

**სტრასბურგი.** აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში უნგრეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს, ბუდაპეშტის მტკ-სა და საფრანგეთის პირველი ლიგის გუნდს „რესინგს“ (სტრასბურგი) შორის. მოიგეს უნგრელებმა — 3:1.

**დიუსელდორფი.** მწვრთნელმა ზეპჰერბერგერმა გამოაცხადა გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უახლოეს საერთაშორისო თამაშებში. აი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი: მეკარეები — ტილკოვსკი, ევერტი, სავიცკი; დაცვა — ლუტცი, ნოვაკი, შნელინგერი, რიკი, ნახევარდაცვა — ვილი, შულცი, გიზემანი, ვილდენი, ერჰარტი, თავდასხმა — კრესი, ულზასი, ჰერმანი, კურტ შულცი, უვე ზეელერი, ჰალერი, შტურმერი, ბრიულსი, ფოლმარი.

**პარიზი.** აქ გაიმართა სამი ქვეყნის — საფრანგეთის, იუგოსლავიისა და ნორვეგიის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩი. გამარჯვება დარჩათ ფრანგებს, რომლებმაც სძლიეს ნორვეგიელებს (123:89) და იუგოსლაველებს (123:87).

იუგოსლაველებმა დაამარცხეს ნორვეგიელები — 108:102.

**პრაღა.** როგორც აქ გამოცხადდა, მსოფლიო ჩემპიონატი ყინულზე ციგურაობაში ჩატარდება პრაღაში, მომავალი წლის 14-17 მარტს, ხო-

## ყოველი მხრიდან

ლო ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება 27 თებერვლიდან 3 მარტამდე ჟენევაში.

**სოფია.** აქ მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესი პრეზიდენტ როგარდის (შვეცია) თავმჯდომარეობით. ეს ფიდეს 32-ე კონგრესია. მან უნდა განიხილოს მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირის მონაწილეების საკითხი.

საბჭოთა კავშირიდან კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე გ. ვინოგრადოვი და მისი მოადგილე, ოსტატი ლ. აბრამოვი.

რედაქტორი ი. უზულავა.

4, 5, 6, 7, 8 ოქტომბერი
„დინამოს“ კორტები
საერთაშორისო შეხვედრა
ჩოგბურთში
მონაწილეობენ:
ბულგარეთი,
უნგრეთი,
ჩეხოსლოვაკია,
საქართველო.
დასაწყისი 15 საათზე.



„ბურევესტნიკის“ სტადიონი
საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა
მძლეოსნობაში
დასაწყისი 10 და 16 საათზე.

დღეს, 4 ოქტომბერს შეჯიბრების დილის პროგრამაშია: ვაჟებისათვის — 200 მეტრზე თარჯრბენი (წინასწარი გარბენები), ჭოკით ხტომა, ბირთვის კვრა (საკვალიფიკაციო შეჯიბრებები), წინასწარი გარბენები 200 მეტრზე.

ქალებისათვის — საკვალიფიკაციო შეჯიბრებანი ბადროს ტყორცნაში, სიმაღლეზე ხტომაში, წინასწარი გარბენები და მეოთხედფინალი 80 მ თარჯრბენში და წინასწარი გარბენები 200 მეტრზე.

საღამოს პროგრამაშია: ვაჟებისათვის — 110 მ თარჯრბენის ფინალი, ბირთვის კვრა (ფინალი), ნახევარფინალები 400 და 800 მეტრზე რბენებში, 100 მეტრზე რბენის ფინალი, 5.000 მეტრზე რბენა და 400 მეტრზე რბენის ფინალი.

ქალებისათვის — ფინალი 100 და 800 მეტრზე რბენებში, ბადროს ტყორცნაში და სიმაღლეზე ხტომაში.

შეჯიბრება გაგრძელდება 10 ოქტომბრამდე

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 05673